

899.962 .1

6-404

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნებიერიძე ნონა

1832 წლის შეთქმულება და მისი გამოძახილი XIX
საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ტირაჟი 100

ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ავტორული	№	38
31	- 10	2001.

ა 161	—	—
სა ღ ი დ ა მ ა მ ა მ ა		

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ულენტი ნინო
ფილოლოგის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ჯოლოგუა თამაზ
ფილოლოგის მეცნიერებათა
ლოქტორი, პროფესორი (10.01.01)

2. ნინო ვახანა
ფილოლოგის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.01)

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის „7“ XII, 13⁰⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის დარგის (P10.01.C №5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორუფერატი დაიგზავნა 2001 წლის „29“ X“

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

თ. რ. 333

15. ტაბიტე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. 1832 წლის შეთქმულება საქართველოს ისტორიის საინტერესო ფურცელია. იგი ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს. 1832 წლის შეთქმულების ხასიათი და მიზანი როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოთა რუსეთის ბატონობის ხანაში ტერნატურად შექდებოდა. XIX საუკუნეში რომანოვების ნება-სურვილით 1832 წლის „მამულის გამოხსნის შეთქმა“ „ბოროტ-განმზრახველ საზოგადოებად“ მოინათლა, ხოლო XX საუკუნეში, კომუნისტური დიქტატის ეპოქაში „ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმის“ გამოვლინებად. ათეული წლების განმავლობაში 1832 წლის შეთქმულება ტაბუდადებული თემა იყო ქართულ ფილოლოგიაშიც. მხოლოდ 60-იანი წლების დამლევიდან საბჭოური იდეოლოგიური წნევის ერთგვარი შესუსტების შემდეგ გახდა შესაძლებელი ქართულ მხატვრულ აზოვნებაში მისი გამოძახილის შესახებ საუბარი. მაგრამ მკვლევარებს, რომლებიც სწავლობდნენ ლიტერატურის – ისტორიული მოვლენების მხატვრული მატიანის 1832 წლის შეთქმულებასთან მიმართებას, კვლავ ბევრი რამის შენიდვა-შელამაზება უწევდათ.

დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო ბიბლიოთეკის მშენებლობის გზას ადგას, აქტუალურად გვესახება აღნიშნული პრობლემის თანადროულობის პოზიციებიდან სიღრმისეული შესწავლა.

ნაშრომის მიზანი, დისერტაციაში მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის 1832 წლის შეთქმულებისადმი დამოკიდებულება, ქართველ რომანტიკოსთა როლი 1832 წლის „მამულის გამოხსნის შეთქმაში“. შევეცადეთ თავი მოგვეყარა და გაგვეანალიზებინა ის ნაწარმოებები, რომლებსაც XIX საუკუნის 20-30-იანი წლების ამ ცნობილი პოლიტიკური მოძრაობის რაიმე კვალი ამჩნევია. გვეჩენებინა, თუ რა პოეტურ საშუალებებს მიმართეს ქართველმა მწერლებმა 1832 წლის შეთქმულების რეალიების, მონაწილეთა პოლიტიკური მრწამსის, საბრძოლო განწყობილების გადმოსაცემად და როგორი იყო მათი რეაქცია